ნესტან სულავა

ჭაბუა ამირეჯიბის „გიორგი ბრწყინვალის“ ისტორიულ-კულტურული კონტექსტი და თანამედროვეობა

ქართველი ერის ისტორიულ მეხსიერებაში განსაკუთრებულად სასიქადულო და ძვირფას სახელად ჭაბუა ამირეჯიბმა მეფე გიორგი ბრწყინვალე გამოარჩია და შექმნა რომანი, რომლის მთავარი პერსონაჟი თვით გიორგი ბრწყინვალეა, ისტორიკოსის სიტყვით, „საკვირველი და უმჯობესი კაცთა შორის“. ცხადია, მწერალი არ წერს სამეცნიერო გამოკვლევას საქართველოს ისტორიისა და გიორგი ბრწყინვალის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, იგი პერსონაჟთა ხატვისას ულამაზეს ფერწერულ მეთოდებს ეყრდნობა და ეპოქის სულს ხატოვნად, მრავალფეროვნად გადმოგვცემს.

მწერალმა „გიორგი ბრწყინვალეში“ მხატვრულ-ალეგორიული და იგავური მეთოდი აირჩია, რათა პიროვნების თავისუფლების, მისი ზნეობრივი არჩევანის, პოლიტიკური დეტერმინაციის პარადიგმა გადმოეცა და ქართველი მეფის მოღვაწეობის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი ეჩვენებინა. გიორგი ბრწყინვალის სახით ქვეყნისა და ერის არსებობისათვის მარადიულ ბრძოლაზე ორიენტირებული პერსონაჟია წარმოსახული, რომლის მთელი მოღვაწეობა ერის ისტორიული მეხსიერებისა და მომავლის რწმენას დაუკავშირდა. იმ დროს, როდესაც თანამედროვე ლიტერატურაშიც გაჩნდა იდეალის, მისაბაძი გმირის გაქრობის საფრთხე, ჭაბუა ამირეჯიბის გიორგი ბრწყინვალე ჭეშმარიტად რაინდული სულის მქონე, ფილოსოფიურად მოაზროვნე და მაღალ ზნეობაზე პროეცირებულ პერსონაჟად წარუდგება მკითხველს. რომანის შექმნის მიზანი გიორგი ბრწყინვალის ისტორიულ-კულტურული კონტექსტის თანამედროვეობის ჭრილში წარმოსახვაა.

მწერლის ინტერესი გიორგი ბრწყინვალისა და მისი ეპოქისადმი განაპირობა ერის საზრისის, დანიშნულების, მსოფლიო ხალხთა შორის კუთვნილი ადგილის ძიებამ, საქართველოს, როგორც კავკასიის ერთ-ერთი ცენტრალური სახელმწიფოს, ფუნქციის ძიებამ. მას სურს აჩვენოს, იმპერიული უცხო ძალების დასუსტების საწყის ეტაპზე თუ როგორი ფრთხილი, წინდახედული, დიპლომატიური სვლები ჰმართებდა დამონებული, იავარქმნილი, სისხლით მორწყული მიწის მკვიდრს, რაშიც ნათლად

იკითხება ალეგორიული თვალთახედვა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოს სახელმწიფოს, ოდითგანვე მნიშვნელოვანს ევროპისა და აზიის დიდი თუ მცირე სახელმწიფოებისათვის, უდიდესი, კერძოდ, სამყაროთა და ცივილიზაციათა, კულტურათა და ეკონომიკურ ურთიერთობათა შემკვრელის როლი ეკისრებოდა, რომლის დაკარგვას მტკივნეულად განიცდიდა მწერალი და ფილოსოფიური განსჯის საგნად აქცია „დათა თუთაშხიაში“. „გიორგი ბრწყინვალეშიც“ სწორედ ამ ფუნქციის აღდგენის შეფარული აზრია გამოხატული, ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა, მარად აქტუალური ჩვენი ერის ცხოვრებაში, რომელიც ალეგორიულ ხასიათს იძენს, რის ფონზეც წარმოაჩინა გიორგი მეფის ისტორიული და სულიერი მისია.

Nestan Sulava

HISTORICAL-CULTURAL CONTEXT OF “GIORGI BRTSKINVALE (BRILLIANT)” BY CHABUA AMIREJIBI AND MODERNITY

In the historical memory of Georgian nation, Chabua Amirejibi chose the name Giorgi Brtskhinvale (brilliant) and created the novel where the main character is Giorgi the Brilliant also known as “the best within the humans” by historians. Of course, the novel is not the research work about Georgian history or about the life of Giorgi the Brilliant. During writing the novel he emphasizes the soul of the epoch and expresses it in a very diverse manner.

Author of the novel chose the method of allegory to show personal freedom, moral selection, paradigm of political determination, and to show the historical-cultural context of Georgian King’s activities. The character of Giorgi the Brilliant became synonymous with the dedication to keeping the existence of the nation and country, whose whole activities were related to the future hope and historical memory of the nation. In the critical epoch when even in contemporary literature we are at the risk of losing the phenomenon of heroes, Giorgi the Brilliant by ChabuaAmirejibi is the one with knight spirit, philosophically minded and person with high moral principles. The goal of creating the novel is the attempt to show the historical-cultural meaning of the king’s context in complains with the contemporary life.

The main interest of the author to Giorgi the Brilliant and his epoch comes from the wish to finding the valuable place in the world for our nation, seeking the function of Georgia as the central country in Caucasus. He wants to show, at the initial stage of the weakening of the imperial foreign powers, what cautious, prudent, diplomatic moves the inhabitants of the enslaved, abandoned, blood-soaked land should have made, in which an allegorical point of view is clearly read. Situated at the crossroad of East and West, North and South, being the most important country for the big and small countries of Europe and Asia, Georgia was playing the role of combining cultural, economic, civilization and the world. All those meaningful ideas were under the risk of getting lost and was especially painful for the author. Not surprisingly, same issues are discussed in "Data Tutashkhia". In "Giorgi the Brilliant" the hidden idea is to restore this function of the country. The idea of freedom and state were the most actual part of our life and the historical face of the king is given according those allegoric meanings.

მარინე ტურავა

საბჭოთა ყოფა და „პატარა ადამიანი“

„ინტელექტმა“ 2018 წელს დაბეჭდა ლადო კოტეტიშვილის პროზაული კრებული „კეთროვანთა ზღაპრები“, რომელიც ავტორს ქართული მოდერნიზმის სრულფასოვან წარმომადგენლად აქცევს.

პირველი ორი მოთხრობა „გოჩმანა“ და „მიმქრალი ჩრდილები“ „პატარა ადამიანზეა“. მოდერნიზმში ამგვარი პერსონაჟი უკავშირდება აქცენტის გადატანას „ყოფიდან ადამიანზე“ (ბახტინი). ამ ადამიანების მეშვეობით მწერალი შეფარვით, ქვეტექსტურად, ზოგჯერ კი პირდაპირ ამხელს საბჭოთა ეპოქას, იმ ცვლილებებს, რომლებიც ოკუპაციამ გამოიწვია.

„გოჩმანა“ 1930 წელს არის დაწერილი და რეალისტური ტენდენციებით, თხრობის ტრადიციული მანერით გამოირჩევა. ნაწარმოებში საბჭოთა დროა მხილებული. 60 წლის უწარსულო, უოჯახო, უისტორიო ადამიანის ცხოვრების მაგალითზე გვიყვება მწერალი საშინელ სინამდვილეს, კომუნისტების ეკლესიასთან, რწმენასთან, განსხვავებულ აზრთან ბრძოლის ისტორიას. აქ გამოჩნდება პირველად ლადო კოტეტიშვილი, როგორც ურბანისტი ავტორი, თბილისური ხედების, ყოფის, სულიერე-